ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6467399

ნომერი: AR1966305

თარიღი : 15.05.2023

გაცემის თარიღი : 18.05.2023

გაცნობის თარიღი : 18.05.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსანის ქუჩა, N 43;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 15 მაისს №AR1966305 განცხადებით მომართა ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 16 იანვრის №6286484 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება სახანძრო რეზერვუარის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 16 იანვრის №6286484 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ვეფხისტყაოსნის ქუჩა №43-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.038.460), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2023 წლის 09 თებერვლის №6321259 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 09 თებერვლიდან 2023 წლის 09 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტებით, +0.00 ნიშნულის გეგმაზე გამორჩენილ იქნა სახანძრო რეზერვუარის დაფიქსირება. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა, შეთანხმებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 16 იანვრის №6286484 ბრძანებით შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციით სახანძრო რეზერვუარის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომა არ ფიქსირდება. სახანძრო რეზერვუარის დაფიქსირება საჭიროებს შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში ცვლილების შეტანას (კორექტირებას).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციით სახანძრო რეზერვუარის მოწყობა გათვალისწინებული არ არის, შესაბამისად, სამსახურის 2023 წლის 16 იანვრის №6286484 ბრძანებით შეთანხმებულ დოკუმენტაციაში ამ კუთხით ხარვეზი არ ფიქსირდება და სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.
სახანძრო რეზერვუარის დაფიქსირება საჭიროებს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილებას (კორექტირებას).
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.